წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 7 ივლისი 1915 წ. № 37

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" [illegible] კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

დასავლეთ საქართველოს მევენახეთა საზოგადოება
„ალექსანდრეული"
5 ამა ივლისს დაიწყო ღვინით ვაჭრობა რაჭა-ლეჩხუმის (ყიფიანის), ხვირის, ქართლის და სხვა ღვინოები ოლღას ქუჩა სახლი № 8.

„საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის" იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

ამხანაგობა ქართლი
მივიღეთ საუკეთესო
თაფლი „საქაშეთისა".
(ძველი სემინარია).

პირველხარისხოვანი
„კაფე ბორდო"
მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.
ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—6 საათამდე. **სადილი 2, 3 და 4 თავიანი.** აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ლობი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინვი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.
პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

გამოვიდა ახალი ქართული წიგნი
პედაგოგიურ კითხვების გარშემო
ვას. ჯაფარიძისა და იაკ. ზედგინიძისა
ფასი 20 კაპ. 5—5

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

კბილის ექიმი
ნინო რეხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ქ. გორში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ჯერ საქართველო . . .

I.

ისე მონურად და ისეთის შეურაცხმყოფელ გულუბრყვილობითა, როგორც ჩვენშია, იშვიათად ექვემდებარება ადამიანი მოარულ პრინციპებს. ამის ერთი მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ

იმ ერის მოწინავე საზოგადოება, რომელიც მოკლებულია საშუალებას გაითვალისწინოს თავისი უნივერსული საჭიროება, ვერ შეიმუშავებს სალ სახელმძღვანელო პრინციპებს თავის მიმდინარე ცხოვრებაში მოსახმარად. მართლაც, არც ერთი დიდი პრინციპი, რომელმაც არა ერთჯერ შეარყია საქართველოს ხმელეთი, არ უდგება ჩვენს სინამდვილეს. არც ერთი მათგანი არ აღმოცენებულა წმინდა ქართულ ნიადაგზე. ქართულ ეროვნულ შემოქმედებას არც ერთი მათგანი არ შეუმუშავებია. **თითქმის ყველა** მონაბერია, ნასესხები. ანალიზის უკანასკნელი დასკვნა იტყვის, რომ ეს პირდაპირი შედეგია ჩვენი გონებრივ ჩამორჩენილობისა და სილატაკის.

ასეთი ვითარება ჰქმნის ერთგვარ პსიხოლოგიურ სინამდვილეს, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: რის შექმნაშიაც წილი ვერ შეგიტანია გონების აშკარა უძლურებითა და რაც შენი აზრის სისაწყლეს მაღლიდან სიამაყით დასცქერის, თანაც გისესხებია იგი და მიგითვისებია, იმას ვერც დაშლი, ვერ შეჰკადრებ ხელის შეხებას. თუ ასეთი პრინციპი თავისთავადაც სათნოა და კეთილი—მორჩა, გათავდა! ჩათქმულ ჯადოდ გარდაიქცევა და მსესხებელს ეცხადება აბსოლუტურ სიმართლის სახით, რომელიც ჟამისა და სივრცის გარეშე სდგას. ამიერიდან იგი სალოცავი კერპია და დიდება-მოსილი ფეტიში. მის წინაშე პიროვნება კდემით ივსება, ადამიანის გონება ჰკარგავს ძიების უფლებას, გამოცნობის ხალისი იხშობა და უქმდება იმპულსი გონებრივი და სულიერი წარმატებისა. ფეტიში იგი მაღალ-ღმერთია, ხელშეუხებელი.

არ არის ის საელემენტო შეგნება, რომ ისიც კაცისაგან არის გამოჭედილი, რომ შეიძლება ხელით შეეხო, შეატრიალ-შემოატრიალო, შთაილო საკუთარის ხუთი გრძნობითა და შენი გონების გრდემლზე შენისავე გონების ჩაქუჩით გადაახალისგადმოახალისო.

ნასესხები პრინციპის გაბატონება აზრმონა საზოგადოების ცხოვრებაში ორპირი მახვილია.

ბედია, თუ სხვისთვის გამოჭრილი თანგი უცაბედად და ბრმა შემთხვევის წყალობით შენს ტანსაც კარგად შემოადგა. არც ქვეყნის სასაცილო გახდები და ბაზარზედაც შენი უქმი ტვინი და მეთანგის შემოქმედი ტვინიცა თანაბრად გაიყიდება. ამისგან შენ მოგებული დარჩები, რასაკვირველია, ხოლო მტერი, თუ იგი გყავს, გულმოკლული. მიზანიც დიდებულად იქნება მიღწეული. მაგრამ ბრმა შემთხვევა შეეხჩება მხოლოდ ბედნიერ სულელს, გარნა ქართველმა დიდი ხანია რაც თავი უბედურ ჭკვიანთა რუბრიკაში მოიქცია და დღესაც იქა სდგას მარტოხელად, უკოლეგოდ. ასეთ შემთხვევაში, ყოვლად სახიერმა დაგიფაროს სხვისი თანგისაგან. შენი ტანის სარგოს ვერრას გზით ვერ შეეყრები. გახდები თითით საჩვენებელი და შენი გონების სისაწყლეც მეტის სიცხადით გამოჩნდება ხოლმე მეთანგის გამჭრიახი გონების გვერდით

. დიდი ხანია „მოაზროვნე" ქართველობის ტვინს ეს ფეტიში თავის ნესტოებიდან „მწვანე ბოლს" რომ უხჩოლებს, და ამ ახირებულ სისტემით შენალოცი ქართველი ინტელიგენცია, მესვეური ქვეყნისა, ვით მომთვარული დაიარება ცისა და მიწას შუა, საქართველოს სახურავის კიდე-კიდე და საცაა თითონაც კისერს მოიტეხს და მთელ ქვეყანასაც მეწყერს და ჯანდაბას გაატანს.

ფეტიში-პრინციპები დიდის ხნიდან გულს უღრღნიან ჩვენს ქვეყანას და სისხლს უწოვენ. ერთი ასეთი ფეტიშთაგანია: **სოლიდარობა ერებთან ყოველ პირობის გარეშე,** რასაც

გაიძახის იმ მიმართულებათა მხცოვანი თუ ყრმა, რომელთაც 15—20 წელიწადია ჩვენი ქვეყნის ბურთი და მოედანი ხელში უჭირავთ. ეს ყურმოკრული ლოზუნგი ჩვენში ფეტიშად გადაქცეული აზრთა მპყრობელია მოწინავე და მოუკანავე ქართველთა. ოცი წელიწადია, ამ ფეტიშს რომ გუნდრუკს უკმევენ, რამაც უდავო ღვთაებრიობის შარავანდედით შემოსა იგი და ყოველი ქართველი სათითაოდ დაჩოქილი გაატარა მის წინაშე. ეს სჯა—ნასწარი და ცრუ-მორწმუნეობა ძვალსა და რბილში გაუჯდა ქართველს. იგი საცაა **ტრადიციის** ხარისხამდე აღწევს, ღრმად და მაგრად გაიდგა ფესვები ამ ფეტიშისადმი რელიგიურმა ექსტაზმა. იგი თითქოს განუკვეთელ ნაწილად გადაექცა ქართველის სულს; მისი იქიდან ამოთხრა უთუოდ ღრმა ტკივილებს მიაყენებს და სულიერ სიცალიერეს განაცდევინებს შენალოც ქართველს.

ჩვენც იმ პლანეტის სტუმრები ვართ, რომლისაც თქვენც ბრძანდებით და იმ კუთხის შვილი, რომელსაც საქართველო ეწოდება და რომელიც, თუ არ ვცდებით, თქვენი მშობელიც გახლავთ. იცოდეთ ერთი ფაქტი ჩვენი წარსულისა: არავინ შთაგვინთქავს, და მომავლის შესახებ დაიხსომეთ ერთი პატიოსანი სიტყვა: არც არვისი შთაყლაპვა გვსურს. ჩვენი სიტყვის და საქმის საგანია: „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოს". ყოველ-დღიური საქმიანობა ამის მისაღწევად და ამ მიზნით უნდა იქმნას გაშუქებული. **როდესაც გარემოება მოითხოვს,** ყოველი ფეტიში და ამათ შორის, ფეტიში-სოლიდარობაც ამა უნდა შეეწიროს. ჩვენი სიტყვის საგანია, მტრად ვიცნოთ და არა მოყვარედ, ვინც ამ საქმეში რითიმე ხელს შეუშლის ქართველ ერს.

ს. კ.—დია.

ქართველ მუშის გზით*)

გუშინდელ წერილში გაკვრით შევეხეთ იმ ბრძოლას, რომელსაც უწევს ერთი ქვეყნის მუშა მეორე ქვეყნისას; თუ როგორ აიძულებს მახინჯ კაპიტალისტურ წესწყობილების წყალობით, უფრო დაბალ კულტურულ საფეხურზე მდგარი ერი მიაღებინოს უფრო მაღლა მდგარს—თვისი სამუშაო ძალა, იმის, მაღლა მდგარის, განდევნით. უკულმართობა ამაზედ შორს ვერ წავა, რომ უფრო სუსტი, უფრო შეუგნებელი სდევნის ამგვარად უფრო ძლიერს და შეგნებულს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტური წესი წარმოებისა სწორედ ასეთ უკულმართობით არის სავსე. სუსტი და შეგნებული მუშა ყოველთვის უფრო მორჩილია, ყოველთვის ნაკლებ ფასში მუშაობს და კაპიტალის გაუმაძღრობისათვის იგი ყოველთვის უფრო ხელსაყრელია. ამით აიხსნება ისიც, რო კაპიტალი გაafთრებული იბრძვის იმისათვის, რომ ყველგან ნება ჰქონდეს კაცის მაგიერ, მაგალითად, ამუშაოს დედაკაცი ან ბავშვი, როგორც უფრო იაფი და ხმაამოუღებელი სამუშაო ძალა. რასაკვირველია, გვეტყვიან, რომ შეგნებული, ჯანსაღი და ღონიერი უფრო მეტს მუშაობას შესძლებს, მეტს აიტანს და ამით პატრონს მეტსაც შესძენს, ვიდრე სუსტი, რომელიც მალე ჰკარგავს უნარს მოქმედებისას და სცილდება საქ-

---

*) იხ. „საქართველოს" № 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეს, მაგრამ აი სწორედ აქ უწევს კაპიტალს დახმარებას ნებითი თუ უნებლიეთი შტრეიკბრეხერობა, ზედმეტი სამუშაო ძალის არსებობა ბაზარზედ და იგი მაინც მოგებული რჩება. კაპიტალი გონებით და სამართლიანობით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ მატერიალური ინტერესებით და მისთვის სრულებით სანაღვლო არ არის, რომ მის წარმოებაში თაობა თაობაზედ იხოცება, სნეულდება და ქუჩაზედ გადაყრილი რჩება. ერთი რიგი მუშებისა მოდის, მთელ თავის ძალას გამოწურულს უტოვებს კაპიტალს და მიდის, მერე მოდის მეორე, მესამე... და ასე წისქვილის წყალივით აბრუნებს კაპიტალის მანქანებს.

ამ გამუდმებულ მოძრაობაში, რაც უფრო შეუგნებელი და მორჩილია მუშა, მით უფრო სახეიროა კაპიტალისათვის, მით უფრო ადვილად იყენებს ისე, როგორც წყლის, ელექტრონის, ორთქლის თუ სხვა ძალას და მით უფრო იაფად, რამდენადაც მეტია იგი მიმწოდებელ ბაზარზედ. ესეთი საანბანო ჭეშმარიტება იმდენად მარტივი გახდა, იმდენად ცხადი ყველასათვის, რომ აქედან გამოყვანილი ყოველი ლოღიკური დასკვნაც მკაფიო და გასაგები უნდა იყოს ყველასათვის.

ცხადია, რომ ესეთი წესი მოქმედობს არა მარტო ქარხანასა და ფაბრიკებში, არამედ ყველგან, საცა სამუშაო ძალაა საჭირო და აი ჩვენც ვეცდებით ნათლად დავამტკიცოთ მაგალითებით, რომ ესეთი სავალალო წესი სწარმოებს ჩვენი, ქართველი მუშის საზარალოდ ჩვენსავე ქართულს ფარგებლში.

ვინც ჩვენს ცხოვრებას აკვირდება უკანასკნელ რამდენიმე ათეულ წლის განმავლობაში, იმას არ შეუძლიან არ შეამჩნიოს, მაგალითად, ის მოვლენა, რომ ქართველი ხელოსნები, დურგლები, კალატოზები, ჩილინგრები, ზეინკლები და სხ. და სხ. თანდათან ჰქრებიან და ადგილს უთმობენ სხვა ტომის ხელოსნებს, უფრო დაბალ საფეხურზედ მდგართ და უფრო იაფად მომუშავეთ. რასაკვირველია, ხელოსანთა განდევნაში დიდი ადგილი უჭირავს მექანიკურ წარმოებასაც, მაგრამ უკანასკნელი ერთნაირად მოქმედობს ყველა ერის ხელოსანზედ და, მაშასადამე, მისი გავლენა თანაბარია.

ავიღოთ უფრო გაბოგანოვებული ელემენტი, მეკურტნე მუშები, რომლებზედაც ფაბრიკა და კაპიტალი გავლენას არ ახდენს. რას ვხედავთ ჩვენა? მაშინ როდესაც ამ 20—30 წლის წინად მაგ. თბილისში მარტო რაჭველ და ქართველ მუშას შეხვდებოდით—ამ თხუთმეტიოდე წლის წინად იგი უკვე კანტი-კუნტად მოიპოვებოდა და დღეს საძებნელი გახდა, რადგან ქურთის მუშამ, კრომ და სომეხმა იგი სრულიად განდევნა. რით აიხსნება ეს მოვლენა?

უცხო ტომის მუშა სჯერდება გაცილებით მდარე საჭმელს, ნაკლები მოთხოვნილება აქვს და ერთი ხუთად უფრო იაფად მუშაობს. დღეს რომ მუშის დაქირავება გინდოდეს—რაჭველი მუშა იქნებ ორჯერ მეტს გააკეთებს ვიდრე მაგ. ქურთი, მაგრამ იმ ფასად 5 ქურთი შეგიძლიანთ დაიქირაოთ. ამრიგად ყველა დარგის ე. წ. შავი მუშა (არა კვალიფიკაციისა) იდევნება საოცარის სისწრაფით. ამავე მდგომარეობაშია არა მარტო ქალაქის ყოველნაირი მუშა, არამედ სოფლისაც, რომელსაც უკანასკნელ ხანებში მოედო აუარებელი გადამთიელი ხალხი, უფრო იაფად მომუშავე და ნაკლები კულტურით აღჭურვილი. რა შედეგი მოსდევს ამას, თუ არ განდევნა ასპარეზიდან ჩვენი მუშისა, ერთის მხრით, და კულტურულად ჩამოქვეითება—მეორე მხრით, რადგან რაც უნდა იყოს—ამ უკულტურო ტალღასაც შეაქვს ქვეყანაში თვისი დამახასიათებელი ელემენტები.

ავიღოთ ისეთი დარგი, როგორიც არის ნავთის წარმოება ბაქოში. იქ სისტემატიურად სდევნიან ქართველ მუშას არა მარტო იმიტომ, რომ იგი უფრო შეგნებული და ამიტომ ურჩია კაპიტალის ექსპლუატაციის წინააღმდეგ, არამედ უმთავრესად იმიტომაც, რომ იგი ვერ ეგუება იმ მინიმალურ ხელფასს, რომელსაც იმეტებს „მენავთე“. „ტარტალშჩიკს“, მაგ., ე. ი. იმას, ვინც დღე და ღამ უზის მანქანას და ეზიდება ნავთს მიწის გულიდან, 1906 წ. თვიურად ჰქონდა საშუალოდ 23 მან. ეხლა, რამდენადაც ვიცით—ეს ფასი ავიდა 29 მანეთამდე. ვინც იცნობს ბაქოს ცხოვრების პირობებს და იქაურ სიძვირეს—კარგად წარმოიდგენს თუ რა აუტანელ პირობებში უხდება იქ მუშაობა ადამიანს. ამ პირობებში მარტო მართლაც შეუგნებელს და გამოურკვეველ მუშას შეუძლიან მუშაობა. ამიტომ იშვიათად თუ შეხვდებით ასეთ სამუშაოზედ ქართველს, ამისთანა შავ სამუშაოზე უმთავრესად არიან თათრები, სომხები, ქურთები და სხ. ქართველი ვერ დაკმაყოფილდება ისეთი მცირე ხელფასით და აუტანელი მძიმე სამუშაოთი. ამ მდგომარეობას არა შველის ის გარემოებაც, თუ ვინ არის მწარმოებელი—ქართველი თუ უცხო, რადგან ექსპლუატაციის საერთო პირობანი ყველასათვის ერთი და იგივეა. და ქართველი „მენავთენი“ არა ნაკლებ ერეკებიან ქართველებს უცხოთა სასარგებლოდ. აქ არის მეორე მხარეც, რომელიც თითქო პრივილეგიებსაც კი ჰქმნის ქართველ მუშისათვის და უკეთეს სამუშაოზედ გადაჰყავს, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი მოვლენაა და არც ჩვენი წერილის საგანს შეადგენს.

რკინის გზაზედაც სწორედ ეკონომიურ პირობათა აქვთ ზეგავლენა, ამას ამტკიცებს თუნდა ის მაგალითიც, რომელიც მოხდა შარშან კახეთის კერძო რკინის გზაზედ. როდესაც ქართველ მუშებმა უარი განაცხადეს მთელ დღეს მუშაობაზედ თოთხმეტ შაურად და პურის ფასად—ისინი ყველა დაითხოვეს და დაემუქრნენ: სომხის და თათრის მუშებს მოვიყვანთ, ისინი უფრო იაფად იმუშავებენო. მართლაც, შეიპირეს დიდი პარტია, მუშებისა, რომელნიც იმავ პურსა და ათ შაურს დასთანხმდნენ. კიდევაც წამოვიდა ნაწილობრივ ეს პარტია და აიძულა ქართველი მუშებიც დასთანხმებოდნენ ძველ პირობებს.

ასეთი მაგალითები დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ნათქვამიდანაც ნათელია ის დებულება, რომელიც ჩვენ წამოვაყენეთ „თანამედროვე აზრის“ 2 მკათათვის დებულების წინააღმდეგ, რომ ერთი ერის მუშას **ყოველთვის აქვს გასაყოფი და საქიშპო** მეორე ერის მუშასთან. ამიტომ სწორედ ცარიელი „კეთილშობილური ფრაზაა“ „თანამედროვე აზრის“ აზრი სოლიდარობაზედ და არა რეალური საფუძველი „უახლოეს მიზნისათვის ბრძოლაში“. პირიქით, იაფი და შეუგნებელი მუშა ხელს უცარავს ნამდვილ მებრძოლს ბურჟუაზიის წინააღმდეგ, და იქ, საცა კაპიტალი იძულებული იქნებოდა კომპრომისზე დათანხმებას—უკან დახევას—იგი უფრო მჭრელ იარაღს პოულობს მუშათა „ურჩობის“ წინააღმდეგ. ურჩებს, ფასის მთხოვნელთ გააგდებს და მორჩილთ და შეუგნებლებს ამუშავებს. ვინ რჩება აქ გამარჯვებული

„თანამედროვე აზრმა“ უნდა გამოიცნოს.

რ. გ.

(შემდეგი იქნება)

ომის დღიური

მიმოხილვა

გუშინ და გუშინწინ ბალტიის ზღვიდან მდინარე დნესტრამდე ფრიად მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. ბრძოლა უკიდურესობამდე გამწვავდა და მოედო მთელ ფრონტს, რომელიც 2000 ვერსს უდრის. ამ მანძილზე მოპირდაპირე ისეთის გაშმაგებით აწვება რუსის ჯარს ბრძოლის ყოველ კუთხეზე, რომ ყოვლად შეუძლებელია იმის გამოცნობა, თუ საიდან მოდის მთავარი დაკვრა: ბალტიის მხრიდან, ბუგზე, ნარევზე, ვარშავაზე თუ ლიუბლინ-ხოლმზე. გერმანელებმა მდინარე ვინდავა და ვენტა გადმოლახეს და მოდიან ტუკუმ-მიტავაზე. პრასნიშის მიმართულებით მოპირდაპირის ჯარი ფართედ გაიშალა და ცეხანოვ-მაკოვის პირით ნარევისკენ მოიწევს, რომელიც ოსტროლენკადან სამხრეთით უხვევს და ვარშავის მახლობლად ერთვის ვისლას. ამ მდინარის,—ვისლის გაღმა გარემოებამ გამოიწვია რუსის ჯარის გადაჯგუფება,

ლიუბლინ—ხოლმის გუბერნიებში უუსასტიკესი ბრძოლა სწარმოებს. აქაც იოსებ-ფერდინანდის და მაკენზენის ჯარებს მოუხერხებიათ წინ წამოწევა და ამოსულან კრასნოსტავამდე, რომელიც მდებარეობს ხოლმ-ლიუბლინის რკინის გზის სამხრეთით 15 ვერსის მანძილზე. ცოტა ქვემოდ მოპირდაპირის ჯარი ბუგს მიადგა

ავსტრიელები დნესტრს გადმოვიდნენ და ამ ჟამად ამ მდინარის მარცხენა ნაპირზეა ბრძოლა.

მ. ბ—ლი.

დეპეშები

ТБИЛИСИ

თბილისი, 4 ივლისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ორს ივლისს ზღვის ნაპირებზედ სროლა იყო. ოლთისის მიმართულებით რუსების მზვერავებმა ოსმალები გარეკეს არდოსტის რაიონიდან. მზვერავთა მეორე ნახევარს შეტაკება მოუხდა ოსმალთა ნახევარ როტასთან სოფ. კეგიკთან და მეტი წილი ამოჟლიტეს. კოპ-კორმუნჯის რაიონში კვლავინდებურად ბრძოლაა; რუსებმა დაიპირეს ტორტონი და პჩრუსი. ადერბეიჯანის რაიონში ყაზახები ქურთებს ჩაუსაფრდნენ, ნაწილი ამოხოცეს, ნაწილიც ტყვედ წამოიყვანეს. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

თბილისი, 5 ივლისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის პირად სროლა იყო მთელ სამ ივლისის განმავლობაში. მუშის მიმართულებით კოპ-კორმუნჯის ფრონტზე მედგარი ბრძოლა კვლავინდებურად მიდის. კოპთან რუსებმა ოსმალები გასტეხეს და უწესრიგოდ გააქციეს, ამასთანავე ხელთ იგდეს ოთხი ზარბაზანი. დანარჩენ ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 4 ივლისი. ოფიციალი. მთავარსარდლის შტაბისაგან. მდინ. ვინდავისა და ვენტის მარჯვენა ნაპირზედ მტკიცედ გამაგრების შემდეგ გერმანელებმა განაგრძეს შემოტევა გოლდინგენ-მურავიევის ფრონტის გასწვრივ ტუკუმის და ალტ-აუცის მიმართულებით. რუსებმა შეაჩერეს გერმანელთა ქვეითა ჯარი სოფელ პოპოლინის აღმოსავლეთით მდებარე ადგილებში. ძალიან ცხარე ბრძოლა მოხდა სამს ივლისს მდ. ორჟიცის მარჯვენა ნაპირზედ. გერმანელთა სამმა პოლკმა სოფელ პოდოსიეზე იერიში მოიტანა, დაიპყრო იგი, გადმოვიდა მდ. ორჟიცას მარცხენა ნაპირზე, ხელთ იგდო რუსის სამი ზარბაზანი, მაგრამ რუსები ცხარე კონტრ-იერიშით მივიდნენ გერმანელებზე, ხიშტების საშუალებით გაანადგურეს მდ. ორჟიცაზე გადმომავალი მტრის ჯარის ნაწილები, წაართვეს თავიანთი ზარბაზანი და სოფელი პოდოსიე უკანვე დაიბრუნეს. ციმბირისა და ტურკესტანის ჯარებმა, რომლებიც აქ ებრძოდენ ორჯელ მეტ მტრის ძალას, დიდი სიმტკიცე და მამაცობა გამოიჩინეს. მლავის მიმართულებით რუსებმა უკან დაიწიეს ცეხანოვის სამხრეთით, რადგანაც გერმანელებმა აქ ახალი სათადარიგო ნაწილები მოაყარეს. ყაზახთა ბრიგადამ ორს ივლისს იერიში მიიტანა ავსტრიელთა ავანგარდზე რადომის ჩრდილო-დასავლეთით, სოფელ მოკრჟეცთან, ტყვედ წამოიყვანა 288 ჯარისკაცი და სამი აფიცერი და ხელთ იგდო სამი ტყვიისმფრქვეველი. ვისლასა და ბუგს შორის ორს ივლისს ღამით გერმანელები საერთო შემოტევას შეუდგნენ. რუსებმა მოიგერიეს გერმანელების იერიში ბიხოვზე და მდ. პოდპილეზე, ვილკოლაზის აღმოსავლეთით. მკაცრი ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა წინ წაიწიეს მდ. ვეპრჟის მარცხენა ნაპირზე. სამ ივლისს საღამო ჟამისთვის რუსებმა შეინარჩუნეს იზდებნო-კრასნოსტავის ფრონტი. სოფელ გრაბოვეცის აღმოსავლეთით გერმანელებმა სამ ივლისს და მეორე დღესაც რამოდენიმეჯერ გაარღვიეს რუსების მავთულიანი ღობეები, მაგრამ რუსებმა ყოველჯერ უკუაგდეს ხიშტებით. მეტელინ-მალლომენჩეს ფრონტზე, მდ. გუჩვასა და ბუგს შორის, გერმანელებს განუწყვეტელი იერიშები მოაქვთ. ამავ ადგილებში, ტერიბინთან და ტიხობუჟთან, რუსებმა ორ ივლისს ღამით მტერზე ნაყოფიერი იერიშები მიიტანეს. მდ. ბუგზე გერმანელებმა ნაწილობრივი იერიშები მოიტანეს სოფელ კრილოვსა და ქალაქ სოკალს შუა. იერიში მოიტანეს აგრეთვე სოფლებ კლუსოკსა და პარხეჩაზე. რუსებმა ეს იერიშები მოიგერიეს. აქ რუსებმა რამდენიმე ასი ტყვე წამოიყვანეს. მდ. დნესტრზე და დნესტრსა და ბუგს შუა ბრძოლაა, თუმც არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 5 ივლისი. ოფიციალი. მთავარსარდლის შტაბისაგან. უმწვერვალესამდე გაალმასდა დასავლეთ ბუგსა და ვისლას შორის გამართული ბრძოლა ოთხ ივლისს. რუსები მედგრად და მამაცურად იგერიებენ გერმანელების შემოტევას. ლიუბლინისკენ გერმანელებმა მთელი ფრონტის სიგანეზე იერიში იერიშზე მოიტანეს; თავიანთ ძალებს განსაკუთრებით ვილკოლაზის რაიონში თავს უყრიდნენ, სადაც რუსებმა დღე-ღამეში ათზე მეტი იერიში მოიგერიეს. დღის განმავლობაში გერმანელთა აუარებელი ძალა შეება რუსებს ვეპრჟის მარცხენა ნაპირზედ. აქ კრასნოსტავთან, იზდებნოს რაიონში გერმანელებმა წინ წაიწიეს ჩრდილოეთისკენ. მიუხედავად ზარალისა, რუსები გმირულად იგერიებდნენ გერმანელების გაათრებულ იერიშებს, რამაც გვიან საღამომდე გასტანა. ვეპრჟის მარჯვენა ნაპირზედ სამი ივლისის განმავლობაში გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდა იმ იერიშების დროს, რომელიც მოიტანეს მდ. ვოლიცაზე გამართულ რუსების პოზიციებზედ. რუსების თხრილების წინ გვამთა გორები იდგა. ოთხ ივლისს აქ მოხდა ძლიერი საარტილერიო ბრძოლა. სამ და ოთხ ივლისის განმავლობაში სოფლებ გრაბოვეც-ბერესტიეს ფრონტის სიგანეზედ გერმანელებმა მედგარი იერიში მოიტანეს. არა ერთგზობა განახლებულ ხიშტებით შებრძოლების შემდეგ გერმანელებს ხელთ შერჩათ რუსების ორი როტის თხრილები.

გუჩვასა და ბუგს შორის, რუსებმა მოიგერიეს მრავალი იერიში გერმანელებისა და გამოდენეს მეტელინის ტყიდან. გერმანელები შეეცადნენ ოთხ ივლისს გადმოსულიყვნენ მდ. ბუგზე, საცაა ილკოვიცე და ცელონცეაა გაშენებული, მაგრამ რუსებმა უკუაგდეს. რიგისა და შაველის რაიონში გერმანელები განაგრძობენ წინსვლას ტუკუმისა და ალტაუცისაკენ. ამ მიმართულებით ოთხ ივლისს ბრძოლა გაიმართა, რომელშიაც რიცხვმრავალ ცხენოსან ჯარს გარდა მონაწილეობა მიიღეს ორივეს მხრიდან ქვეითმა ჯარებმა. პოპელიონის აღმოსავლეთით რუსებმა მარჯვე იერიშის დროს ტყვედ წამოიყვანეს 500 გერმანელი ჯარისკაცი ცხრა ოფიცრით და შვიდი ტყვიისმფრქვეველით. რუსებმა მოიგერიეს გერმანელების იერიში შავლის ჩრდილოეთით. გერმანელების შემოტევამ პრასნიშის მიმართულებით, რომელიც ფართე ფრონტით მოხდა, რუსები აიძულა უკან დაწეულიყვნენ და მდ. ნარევის უმახლობელესი პოზიციები დაეჭირათ. ამ ნაბიჯმა-კი აუცილებელი გახადა, რომ რუსებს მოეხდინათ ძალების ახალი გადაჯგუფება ვისლას მარცხენა ნაპირზედ. ეს გადაჯგუფება დაუბრკოლებლად, თავისუფლად სწარმოებს. დნესტრზე რუსებმა სამ ივლისს საგრძნობლად გაიმარჯვეს მტრებზე, რომელთაც ეს მდინარე გადმოლახეს. დღე და ღამეში რუსებმა ხელთ იგდეს 2000 ავსტრიელი და შვიდი ტყვიისმფრქვეველი.

შესწორება. გუშინდელ მთავარსარდლის დილის დეპეშაში ამ სიტყვების შემდეგ: „ეპრჟის მარცხენა ნაპირზე სასტიკ ბრძოლის შემდეგ მტერმა ცოტათი წინ წაწევა შესძლო“, უნდა ჩაემატოს: „ვეპრჟის მარჯვენა ნაპირზე მდინარე ვოლიცაზე მტრის იერიში უკუგდებულია“.

რომი, 3 ივლ. „ჟურნალე დ' იტალია“ იტყობინება, ბორცილაი უპორთფელო მინისტრად დაინიშნა, რომელიც სალანდრასთან ერთად მთავარ შტაბში გაემგზავრა ფიცის მისაღებადაო. გაზეთი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ყოფილ რესპუბლიკანელ ბარცელაის დანიშვნა ორგვარ ინტერესს წარმოადგენს. ერთის მხრით მისი დანიშვნა ტრიესტის განთავისუფლების მომასწავებელია, და მეორეს მხრით მეფის ბაირაღის ირგვლივ ყველა ერების ძალებს მოუყრის თავსაო.

თეირანი, 3 ივლ. საგარეო საქმეთა სამინისტროს დროებით მმართველმა მოშავერულ-მულკმა მწუხარება გამოუცხადა ინგლისის ელჩს იმის გამო, რომ ბუშირში ოფიცრები იქმნენ ამოწყვეტილნი, და დაუმატა: კაბინეტის უქონლობა მას ამ ჟამად ნებას არ აძლევს პასუხი გასცეს ან დააკმაყოფილოს ის პირობანი, რომელნიც წარედგინა სპარსეთს მომხდარ ბოროტმოქმედების გამო.

სტოკჰოლმი, 3 ივლ. ოფიციალურად იუწყებიან, რომ გერმანიაში აკრძალულია ფქვილით ვაჭრობა. საფქვილე საწყობების პატრონი ვალდებულია თემების კავშირს გადასცეს ფქვილი, რომლის კონფისკაცია 3 აგვისტოს მოხდება,

ათინა, 3 ივლ. დიდ ბრიტანიის მისიამ გამოაქვეყნა სია საბერძნეთის იმ გემებისა, რომლებიც მოკავშირეთა ფლოტის მიერ იყვნენ დაჭერილნი. 29 გემიდან საბერძნეთს მხოლოდ 5 აკუთვნეს. გაანთავისუფლეს 14 გემი, დაჭერილია 11 და დანარჩენი ოთხიც გაანთავისუფლეს, მხოლოდ მათ ტვირთის ნახევარს კონფისკაცია უყვეს.

პეტროგრადი, 4 ივლ. თანახმად საკუთარის თხოვნისა, სახელმწიფო საბჭოს წევრი, სტატს-სეკრეტარი საბლერი უწმიდეს სინოდის ობერ-პროკურორობის თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა.

ობერ-პროკურორის თანამდებობის აღმასრულებლად ინიშნება სახელმწიფო საბჭოს წევრი, მოსკოვის თავად-აზნაურობის წინამძღოლი სამარინი.

ლონდონი, 4 ივლ. ქალების პატრიოტული მანიფესტაცია მოხდა. 400,000 ქალი გაემგზავრა უაიტპოლისკენ, სადაც ლოიდ-ჯორჯმა სიტყვა წარმოსთქვა და მიუთითა იმ მოვლენაზე, რომ 50,000 ქალი სხვა და სხვა ქარხანაში მუშაობენ სამხარ სურსათის დასამზადებლად. საკითხი მამაკაც-დედაკაცთა თანამშრომლობისა განხორციელდაო.

პეტროგრადი, 5 ივლისი. სოფელ პოდოსიესთან მომხდარ ბრძოლაში თავი ისახელა პორუჩიკმა რუსიანმა. გერმანელთა ექვსი როტა, რომელთაც მდინარე ორუთცი გადმოიარეს, რუსებმა სულ ერთიანად ამოხოცეს. ბევრი მდინარეში ჩაიხრჩო. რუსების ზარბაზნები, რომლებიც უკანასკნელ წუთამდე ისროდნენ, ხელიდან-ხელში გადადიოდა. რუსების რამდენიმე როტა, ორჟიცზე გადავიდა და სიაფთრით შეესია სოფელ პოდოსიეს, სადაც გაცილებით მეტი გერმანელი იდგა. გერმანელებმა რუსებს ვერ გაუძლეს და გაიქცნენ. გერმანელების იერიშების მოგერიების დროს, ვილკოლაზის აღმოსავლეთით, თავი ისახელა კაპიტანმა კვაჭაძემ, რომელიც პირადი თაოსნობით ორ როტის ამარა თავგანწირვით ეკვეთა მტერს, რომელიც ვილკოლაზიდან რუსებს წვერით აწვებოდა, და დიდს მანძილზე გერმანელთა წყობები არივ-დარია.

პარიზი, 5 ივლისი. დილის ოფიციალი ცნობა. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

მოსკოვი, 4 ივლ. მოსკოვის ქალაქის თავი და ქალაქის საბჭოს ორი წევრი მომქმედ ჯარში დეპუტაციად გაემგზავრნენ, რომ მთავარსარდალს ხატები მიართვან.

ლონდონი, 5 ივლ. გასულ პარასკევს ჰოლანდიის გემმა ებერდინში გადმოსხა რუსეთის გემის „ბალვა“-ს მეზღვაურები, რომელიც გერმანელთა წყალქვეშამ ჩასძირა შოტლანდიის კუნძულებთან.

ნეუკასტლი, 5 ივლ. ნორვეგიის გემი „ბეგა“ ნავთსადგურში შემოვიდა. კაპიტანის სიტყვით ჩრდილოეთის ზღვაზე გერმანიის წყალქვეშამ აიძულა ის ყოველგვარი ტვირთი ზღვაში ჩაეყარა.

პეტროგრადი, 5 ივლისი. უმაღლესი რესკრიპტი სახელმწიფო საბჭოს წევრის, სტატს-სეკრეტრის, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველის შჩეგლოვიტოვის სახელობაზე:

„ივანე გრიგორის ძევ, თქვენმა ღრმა იურიდიულმა ცოდნამ და დიდის ხნის სამსახურის გამოცდილებამ სამართლის სამინისტროს უწყებაში მაიძულა ჩამებარებინა თქვენთვის სამართლის სამინისტროს მართველობა 1906 წელს. ამ პასუხსაგებ ადგილზე თქვენ ერთგულებით და შეურყევლად ასრულებდით თქვენს მოვალეობას და სასამართლოს ავტორიტეტი ჯეროვანად აღამაღლეთ და აგრეთვე თქვენს შრომას არ ზოგავდით სასამართლო საქმეების სასურველ გასაუმჯობესებლად. ამ ჟამად თქვენი ავადმყოფობის გამო ვშუამდგომლობთ დაგითხოვოთ იუსტიციის სამინისტროს თანამდებობიდან, ვასრულებ თქვენს თხოვნას და საამო მოვალეობად ვსთვლი ნაყოფიერ და დაუცხრომელ შრომისთვის მოგიძღვნა გულწრფელი მადლობა.

ხელს აწერს მათი იმპერატორობითი უდიდებულესობა „მადლიერი“ ნიკოლოზი.

თეირანი, 5 ივლისი. შახმა მუგზავნა ერთ ერთი სასახლის მსახური ინგლისის ელჩს და მწუხარება გამოაცხადებინა ბუშირში მომხდარ მკვლელობის გამო. ამ საკითხში ეს პირველი ოფიციალი ნა-

ბიჯია სპარსეთის მხრივ. ოსმალები რეუფ-ბეის მეთაურობით სამინისტროს კრიზისით სარგებლობენ, რომ უფრო მომაგრდნენ კერენდაში. რუსის და ინგლისის მისია მოითხოვს ფერმან-ფერმის კაბინეტში დატოვებას.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბრძოლის ველზე.

„ნოვ. ვრ.“ სწერს:

მდ. ნარევთან გერმანელებმა რკინის გზის საშუალებით აუარებელ ჯარს მოუყარეს თავი.

რიგისა და შაველის რაონში გერმანელთა მიზანი ვინდავა არის. პრასნიშის მხარეს გერმანელთა განზრახვა ჯერ გამოურკვეველია. პრასნიშიდან სამხრეთით რუსის ჯარს უკავია გზები, რაიც გერმანელების ჯარის მოძრაობას აფერხებს.

თავის მოკვლა.

ბუქარესტიდან იტყობინებიან: ხმა გავრცელდა, ბულგარეთის მეფის მოკვლის შეთქმულობაში შემჩნეულმა ნამინისტრალმა გენადიევმა თავი მოიკლაო.

გაუქმებული პოლკი.

ამას წინად დეპეშამ ცნობა მოიტანა, რომ ავსტრიელებს გაუუქმებიათ ჩეხთა ერთი პოლკი. ‚La Natio Tcheque“ ბეჭდავს „კარპატის ჯარის მიმართ“ ბრძანებას ამ პოლკის შესახებ:

„მეომარნო! 3 აპრილს 1915 წელს ოცდამერვე პოლკი ისე დანებდა რუსის ერთ ბატალიონს, რომ წინააღმდეგობაც არ გაუწევია მისთვის. ამ სამარცხვინო ამბავმა სრულიად წაშალა უწინდელი რაინდობა ამ პოლკისა, რომლითაც ამაყობდა მთელი არმია. ახალგაზდა რეზერვისტები, რომლებითაც შევავსეთ ეს პოლკი, მორალურად სავსებით გარყვნილი იყვნენ. მტრის ბოროტმა პროპაგანდამ სრულიად გარყვნა სულიერი მდგომარეობა ჩვენი ახალგაზდებისა. ულირსი და სამარცხვინო საქციელი ამ პოლკისა არამც თუ ამცირებს მას, არამედ გვაიძულებს ამოვშალოთ იგი ჩვენი არმიის სიიდან იმ დრომდის, სანამ ამ პოლკის ახალი რაინდობა და გმირული საქმე არ დაგვავიწყებს მის საქციელს“.

ავსტრიის იმპერატორის ბრძანებით დაშლილია ეს პოლკი და მისი დროშა გადაეცემა სამხედრო მუზეუმს.

ვარშავა.

მცხოვრებთა უმრავლესობა ქალაქში დარჩენას ჰფიქრობს და ცდილობს წესიერებას და ორგანიზაციას ხელი შეუწყოს. პრესაც დიდის თანაგრძნობით ეკიდება ამ ლოზუნგს, მოუწოდებს ხალხს სიმშვიდეს, სიწყნარეს და საზოგადო მოვალეობის ასრულებას. „Kwyér Warszawski“-ს უკანასკნელი ნომრის ორი წერილი მხოლოდ ამ თემას ეხება. ერთი წერილის ავტორი სწერს: „ვისაც თავის მოვალეობა ესმის მშობელ ქალაქისადმი, ის შეურაცყოფად ჩასთვლიდა ასეთ კითხვას: „თქვენ ვარშავას სტოვებთ?“.

მეორე წერილში ვკითხულობთ: „ომის დაწყებიდანვე, სვინიდისი მხოლოდ ერთს გვიკარნახებდა: რაც უნდა მოგვივიდეს, ავი თუ კარგი, ჩვენ აქ უნდა დავრჩეთ, სამუშაო ასპარეზი ჩვენი აქ არის და მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, ჩვენ არ უნდა ვუღალატოთ მშობელ ქალაქს“.

პროფესორ ნერნსტის დაჯილდოება.

კოპენჰაგენიდან „რუსკ. სლოვ.“ ატყობინებენ, რომ შხამიან ბოლის გამომგონი პროფესორი ნერნსტი რკინის ჯვრით დააჯილდოვესო.

პოლონელების დეპეშა ვილსონისადმი.

პოლონეთ-ამერიკის კომიტეტის რწმუნებულმა სოსნოვსკიმ ამ დღეებში ჩრდილოეთ ამერიკის პრეზიდენტ ვილსონს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „პოლონეთის ხალხი მუდარით მოგმართავს თქვენ, როგორც შეერთებულ შტატების პრეზიდენტს, და გთხოვს აღიპყროთ თქვენის უფლებით და აიძულოთ გერმანია, რათა მან ხელი აიღოს შხამიან ბოლით ბრძოლაზე. რადგან ამ ბოლის მოქმედება ბრძოლის ველიდან 30 ვერსზე ვრცელდება, თუ ამ ხერხით სარგებლობა არ მოისპო, მოწამლულ იქმნებიან ხალხიც, წყალიც, ნათესიც და პირუტყვიც. ომის და ესოდენ წვალების შედეგად ჩვენ გვერგება არამც თუ განადგურებული სამშობლო, არამედ შხამიან ბოლით მოწამლული ხალხი. (უ. რ.).

პოლონელი მუშები გერმანიაში.

როგორც „რეჩს“-ს ატყობინებენ, გერმანელები დიდად სარგებლობენ პოლონელ მუშებით, როგორც მიწის დამუშავებაში, ისე ქარხნებშიაც. გერმანელ მიწათმფლობელთა ცენტრალი ბიუროს სტატისტიკით, პოლონეთიდან გაუყვანიათ გერმანელებს 550,000 მიწის მუშა. აუარებელი ფაბრიკა-ქარხნების მუშა გაყვანილია ლოძის და დომბროვის რაიონებიდან.

კალე და სუეცი.

გრაფი რევენტლოვი გერმანულ გაზეთში ამტკიცებს, კალე ინგლისის გასაღებია და თუ ინგლისის განადგურება გვინდა, უნდა კალე დავიპყროთო. დოქტორი იეკი ამტკიცებდა, სუეცი კალეზე არა ნაკლებ ყურადღების ღირსია ინგლისის მოწინააღმდეგისათვისაო; გრაფი რევენტლოვი თუმცა ეთანხმება დოქტორ იეკს, მაგრამ იგი საჭიროდ სცნობს კალესთან დიდძალ ჯარის მიყვანას. რაც შეეხება ეგვიპტეს, იანვარში გალაშქრება ოსმალების მიერ მხოლოდ ცდა იყო, ამ ჟამად კი სერიოზული ბრძოლა დაიწყებაო. გერმანელ ინჟინრებს სირიასა და სინაისკენ რკინის გზა გაჰყავთ, რომლითაც სუეცთან მძიმე არტილერიას გადაიტანენ და სუეც-კონსტანოპოლს შეაერთებენ. გრაფი რევენტლოვი ფიქრობს, რომ ინგლისი სასიკვდილოდ იქნება ეგვიპტეში დამარცხებულიო. ინგლისმა ეს განზრახვა იცის და ამიტომაც არის, რომ დარდანელთან ჩქარობს და ბალკანეთის სახელმწიფოებს ოსმალეთის და ავსტრიის წინააღმდეგ ამხედრებსო. გერმანელები ჭკუას ასწავლიან ინგლისელებს და ისეთს დღეს დააყრიან, რომ ინგლისი ბედს იწყევლიდეს. ინგლისელებს გერმანელების ამოფხვრა უნდათ და ხელმძღვანელობენ გერმანელთა საწინააღმდეგო კოალიციას, ამიტომ გრაფი რევენტლოვის აზრით, კალესთან ბრძოლა ხელს არ შეუშლის სუეცთან ბრძოლას, მაგრამ კალე უფრო დიდმნიშვნელოვანი არისო.

ტყვე აფიცრები.

გერმანული ოფიციოზი იტყობინება, საფრანგეთში გერმანელ ოფიცრებს ცუდად ეპყრობიან და მათ წინააღმდეგ რეპრესიებს ხმარობენო. 50 ფრანგი ტყვე აფიცერი გერმანიის მთავრობამ ცარნდორფში გადაიყვანა, სადაც მათ ეგრევე სასტიკად მოეპყრობიან, როგორც ფრანგები გერმანელ ტყვეებს ეპყრობიანო. გაზეთი მუქარით ათავებს: უკეთუ ფრანგები არ გააუმჯობესებენ გერმანელ აფიცრების მდგომარეობას, გერმანელებიც შურს იძიებენ და ყველა ტყვეებს სასტიკად მოეპყრობიანო.

რუსებ-პოლონელების თათბირი.

როგორც „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რუსებისა და პოლონელების თათბირი დამთავრებულა. შუბინსკის აზრით ბევრ საკითხში შეთანხმება და ერთობა მოხდა. რუსების წარმომადგენლების აზრი იყო მიეცათ პოლონეთისთვის ყველაფერი, რაც კი ადგილობრივ მართვა-გამგეობის ეროვნულ კულტურას შეეხება.

——

„ნოვოე ვრემია“ სწერს: ყოვლად შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ ვისლასა და ბუგის შორის დიდი ლიუბლინის ბრძოლა დაიწყო. პრასნ იშთან ბრძოლა გერმანელებმა იმიტომ აწარმოვეს, რომ მაკენზენის ჯარი გადაეყვან-გადმოეყვანათ. ცხადად სჩანს, რომ გერმანელები ლიუბლინს აწვებიან და დასავლეთიდან ხოლმს უვლიან.

——

ირკვევა მთავარი მნიშვნელობა ჩრდილოეთის ფრონტისა ვისლისა და ბუგის შორის. ომის გაცხოველება სამხრეთით და უფრო ნარევის მიმართულებით დემონსტრაციაა.

——

ხმა გავრცელდა, რომ სახელმწიფო სათათბიროს სხდომები ერთ კვირაზე მეტს არ გასტანს.

„ნოვოე ვრემია“ იტყობინება: სახელმწიფოსათათბიროს მზადება საბიუჯეტო და საფინანსო კომისიების სამუშაოდ, საფინანსო მინისტრის თანადასწრებით, დახურულ კრებაზე მოხდებაო. წამოყენებულ იქნება ომისგან გამოწვეული საკითხები.

ღია წერილი

გულწრფელო და კარგო სიტყვა!

წავიკითხე შენი კვირის ფელეტონი. მეგობარო, რას გვიქადაგებ?

დღეს და ეხლა?

განა ჩვენ დაგვავიწყდა საიდან მოვდივართ?

ტარიელიზმი—მშვენიერი სიტყვა შემოდის ლიტერატურაში, მეც სიამოვნებით ვხმარობ, რომ თავი დავაღწიო ცბიერ ჯენტლმენობას—დიაღ, ტარიელიზმი ჩვენ ძვარ-რბილში გვაქვს გამჯდარი.

განა ამის სწავლება გვინდა!?

აიღე ქართველი, რომელი გინდა მდგომარეობის, ან როგორც მეცნიერულად ამბობენ, **კლასის**, და დარწმუნდები, რომ ის **უცხოსთან** მუდამ თავაზიანია.

რად დავეწაფეთ კოსმოპოლიტობას?... მერწმუნე, ამაში მემკვიდრეობით შეძენილს ჩვენს ფსიხიკას დიდი ადგილი ჰქონდა,

დღეს...

ცა და ქვეყანა ერთმა საზარო გრიგალმა გაიტაცა თავის გიჟურ და მომაკვდინებელ სრბოლაში. დღეს მომენტია სამკვდრო-სასიცოცხლო, როგორც თვით შენ ამბობ ხოლმე.

და აი ესეთ უზენაეს თუ გადამწყვეტ წუთს შენ, კარგო სიტყვა, ისევ ძველის, მოწოდებით გამოდიხარ.

როდის იყო, მთელს ჩვენს მრავალტანჯულს ცხოვრებაში, რომ არ ვიცოდეთ დაფასება მეზობლისა, მისი შეწყნარება, შეგუება?..

მთელი ჩვენი მატიანის კაბადონები, ჩვენი საკუთარის სისხლის ღვართაგან ნაკარნახევი, მხოლოდ მაგის მაჩვენებელია:

ჩვენი თავაზიანობის, დარდიმანდობის, „ტარიელიზმის“.

ტრაპიზონის იმპერიაც კი დავაარსეთ... ამაზე შორს ვერ წავა პოლიტიკური თავაზიანობა.

დავით აღმაშენებლის დროიდან დაწყებული, თუმც მრავალ-გზის განვიცდით თვით ჩვენ პოლიტიკურ მონობას, მაგრამ მაინც ეს ტრადიცია პირდაპირ ჩვენი ყოფის ერთგვარ მოთხოვნილებად იქცა. სხვას ყველას რომ დავეთხოვოთ, საკმარისია დავასახელო

ებრაელები.

დიდია და მშვენიერი შორს განსჭვრეტა... კარგია შენარჩუნება დიდებულის ლოზუნგისა...

მაგრამ ხომ ხედავ... ქვეყნები ინგრევიან... ან ბოროტი ძალი უნდა დარჩეს გამარჯვებული ან კეთილი... კომპრომისებს, რომელსაც აქამდის ცხოვრებამ მიგვაჩვია, ველარ გამოვუდგებით.

მერწმუნე; პირველი მაინც ჩვენ ვიქნებით, რომელნიც პირველსავე თავაზიანობას გამოვიჩენთ. ეს ჩვენი შესისხლხორცებული აზროვნებაა, გულის ფეთქა, უამისოდ ცხოვრება არც შეგვიძლია. მხოლოდ დღეს კვლავ ჩვენი მოხდენილი ტარიელიზმის გახსენება ერთგვარი დაშავებაც კი უნდა იყოს...

„ზოგჯერ თქმითაც დაშავდების:—
რად უგულებელს ჰყავ?

შალვა დადიანი.

გერმანელ აფიცერთან საუბარი

დასაწყისი და დასასრული ამ საუბარისა არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, მხოლოდ ომი აინტერესებს ყველას.

ერთ ბანაკში მრავალი გერმანელი ტყვეები მორეკეს. ყველანი ახალგაზდები იყვნენ და ირწმუნებოდნენ, რომ ომი მალე გათავდებაო. რასაც ეუბნებოდნენ, ალბად სჯეროდათ.

მხოლოდ ერთმა მათგანმა წარუხოცველი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. იგი სხვებზე ხნიერი იყო. იგი ხალისით ლაპარაკობდა და თავისი „სიმბოლო სარწმუნოებისა“ დაგვიხატა. გენერალურ შტაბის ლეიტენანტი გამოდგა. გაეთავებინა უმაღლესი სასწავლებელი. წლოვანებით და აზრით დასრულებული ადამიანი იყო და ამიტომ მისი აზრი გერმანელ განათლებულ საზოგადოების სურვილგამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს.

მან გვითხრა:

„თქვენ, რუსები რაღაც არაჩვეულებრივი ხალხი ხართ. თქვენ, ცოტა რამ გაცხიაო ევროპიელ კულტურისა და ამიტომაც არ გესმით ევროპის ახალი მისწრაფებანი.

ეხლანდელი ომი ჯართა შეტაკება კი არ არის, არამედ იგი ერთა და ხალხთა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა. ჩვენი და აგრეთვე თქვენი მტერი არა ჯარისკაცია, ან ოფიცერი, ან გენერალი, არამედ ჩვენი მტერი მთელი ხალხია, მთელი ერია. დედაკაცი, მამაკაცი, ბავშვი, მოხუცი, ახალგაზდა—ყველა ჩვენი მტერია და ჩვენც მათ ასე ვუყურებთ. ყველა ამ ჟამად ომშია ჩართული. მუშა ჯარისთვის ზარბაზნებს და, ტყვია-წამალს ამზადებს. დედაკაცები და ბავშვები საცვლებს უკერავენ. მაშასადამე, მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ყოველი წევრი, ვინც უნდა იყოს—ომობს და იბრძვის.

გერმანელები ყველაზე კარგად ვაწარმოებთ ომს. თუ ტყვია-წამალი არა გვყოფნის, ჰაეროპლანებიდან ყუმბარებს ვისვრით, ვუშვებთ შხამიან ბოლს. ერთი მითხარით, ასეთი საშუალება რად უნდა იყოს აკრძალული? რომელ კანონზე და უფლებაზე ლაპარაკობთ მაშინ, როდესაც სამშობლოს და ერის ბედი სასიკვდილოდ არის გამზადებული, როდესაც მთელს ერს დაღუპვა მოელის? ამ დროს კანონი? რა კანონი, რის კანონი!

დიახ, ჩვენ, გერმანელები სამშობლოსთვის ვიბრძვით და ყოველგვარ საშუალებასაც ვიხმართ ოღონდ სამშობლო კი ვიხსნათ განსაცდელისგან. თქვენ რუსებს განუზომელი მამულები გაქვთ და მისი ნაყოფით ბედნიერნი ბრძანდებით; თქვენ ყველაფერი გაქვთ, რითაც გამრავლება, სიცოცხლე და არსებობა შეიძლება; მაგრამ ერთი ჩვენც გადმოგვხედეთ, ჩვენ ყოველს სხვისას ვამუშავებთ, სხვის დაუმზადებელ საქონელს ვამზადებთ და ასე გაგვაქვს ბაზარზე; და თუ ამ საქმეში უმაღლესობამდე მივაღწიეთ, მხოლოდ ჩვენის უნარით, ჩვენივე წყალობით და ძალ-ღონით.

ეხლა? როგორ ვცხოვრობთ? ერთი თითის დადება თავისუფალი მიწა არა გვაქვს. ბაღებს სახლის აივანზე და ბანზე ვაშენებთ. მიუხედავად ამისა, მაინც კარგად ვცხოვრობთ. ამის გამო მხოლოდ ჩვენს თავს უნდა ვემადლებოდეთ. ეს ჩვენი უნარია; ჩვენი სიცოცხლე და ყოველი ჩვენი საბადებელი და უნარი ომმა განსაცდელში ჩააგდო. ამ დროს მხოლოდ ძლიერი გაიმარჯვებს. ჩვენ, გერმანელები ძლიერნი ვართ და გამარჯვებაც უეჭველად ჩვენ უნდა დაგვრჩეს, თორემ გერმანია აღიგვება დედამიწის ზურგიდან. ამ დროს რომ ომის კანონებზე ვილაპარაკოთ—ეს აკრძალულია, ეს კი ნებადართულიაო, ერთი მიბრძანეთ, სად წაგვიყვანს ასეთი ბაასი? რას მოგვიტანს? ასეთ დროს არცა ღირს ამაზე ლაპარაკი, ჩვენ მხოლოდ ვმოქმედობთ. ჩვენ უნდა მოვსპოთ მოწინააღმდეგე შხამიან ბოლით, საფეთქი ტყვიით, ცეცხლმოდებულ სითხით, ვესვრით ყუმბარებს, ვძირავთ გემებს და შემდეგშიაც ასეთი ხერხით ვიბრძოლებთ.

უკეთუ მუშა ხელი არა გვყოფნის, გავიყვანთ ტყვეებს, მოპირდაპირის მშვიდობიან ხალხს და ვამუშავებთ. ჩვენც გვარგებენ და თავიანთ თავსაც. აბა გაზომეთ საქმე სიგძე-სიგანით და თვით დარწმუნდებით, რომ სხვარიგად არ შეგვეძლიან მოვიქცეთ.

ომის დასასრული ყოველ გვარს კამათს გარდასწყვეტს. ჩვენ გამოვალთ გამარჯვებულნი და გამარჯვებულს ვერავინ გაასამართლებს“.

ამ სიტყვებით გათავდა ახალგაზდა გერმანელის ლაპარაკი. გაშტერებული ვუმზერდით. ვნახოთ ომი როგორ გარდასწყვეტს აწმყოს და მომავალს. ისიც ვნახოთ მისი უკანასკნელი სიტყვა „გამარჯვება“ [illegible]!

(„ნოვოე ვრემია“)

ახალი ამბავი

თავმჯდომარის დასახელება. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, თბილისის სამეურნეო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ადგილზე, სხვათა შორის, ასახელებენ ცნობილ სტატისტიკოსს და ეკონომისტს ფილიპე გოგიჩაიშვილს.

◆ **დარბაზობა.** ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი თავ. მ. ა. სუმბათაშვილი, მისი თანაშემწე კ. ი. სვიმონიშვილი, დეპუტატი ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა თავ. კ. მ. მელიქიშვილი და თბილისის მაზრის თავად აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. ნ. ე. ქობულაშვილი, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელ თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის წინამძღოლობით, 5 ივლისს სადარბაზოდ იყვნენ მეფის მოადგილის თანაშემწე გოფმეისტერ პეტერსონთან, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროს გენერალ-ლეიტენანტ ვოლსკისთან, თბილისის გუბერნატორ-სტრახოვსკისთან და საქართველოს ეგზარხოს მაღალ ყოვლად-სამღვდელო პიტირიმთან. თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი სადარბაზოდ მივიდა აგრეთვე კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველ რუდოლფთან

◆ **დონის როსტოვი,** 5 ივლისი. შესდგა ადგილობრივი სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის მიერ მოწვეული ყრილობა დონის ოლქისა და ჩრდილო კავკასიის სარაიონო კომიტეტების წარმომადგენლებისა. გადაწყდა გაიერთიანონ სარაიონო კომიტეტები. ცენტრად აირჩიეს როსტოვი.

◆ **თბილისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურთა კომიტეტს** თავისს დაარსებიდან დღემდე შემოსვლია სხვა და სხვა პირთა და დაწესებულებათაგან: 1) თბილისის გუბერნიიდან გაყვანილ ჯარისკაცთა ოჯახების დასახმარებლად 13.268 მან. 16 კ. 2) წმ. ნინოს სახელობის ლაზარეთისათვის 9.471 მან. 80 კაპ. და 3) დაჭრილ ჯარისკაცთათვის საწოლების მოსაწყობად წმ. ნინოს ლაზარეთში შემომწირველთა სახელობაზე 12.069 მან. 08 კაპ. სულ 34.809 მან. 04 კაპ. ამ შემოწირულებაში ყველაზე დიდი წილი უდევს „ახალ კლუბს“, რომელსაც გასულ წელს შემოუწირავს 2.419 მან. 85 კაპ., ხოლო მიმდინარე წელს 2.735 მან. 88 კაპ. სულ 5.155 მ. 73 კაპ.

◆ **თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში** მისაღები გამოცდა მოხდება 18—27 აგვისტოს, ხოლო განმეორებითი გამოცდა შეგირდებისა 18—25 აგვისტოს. წლიური სწავლის ფული 75 მან.

◆ **ქალთა მესამე გიმნაზიაში.** მისაღები გამოცდა დაიწყება 21 აგვისტოს და გაგრძელდება 25 აგვისტომდე.

◆ **სალიტერატურო საღამო.** ამ ახლო მომავალში შალვა დადიანს განზრახვა აქვს თელავში გამართოს სალიტერატურო საღამო, საქველმოქმედო მიზნით. საღამოში, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს მგოსანი სანდრო შანშიაშვილი. დაწვრილებით თავის დროზე იქნება გამოცხადებული.

◆ **კრება.** რუსეთის ქალაქების კავშირის თავმჯდომარემ ბ-ნმა ჩელნოკოვმა დეპეშით აცნობა კავშირის კავკასიის განყოფილების თავმჯდომარეს ა. ი. ხატისოვს, რომ ქალაქთა წარმომადგენლების კრება, რომელმაც უნდა გამოარკვიოს სურსათის სიძვირის მიზეზები და მათ წინააღმდეგ ღონისძიების გამოძებნა, 11 ივლისს მოხდება მოსკოვშიო.

◆ **„ალორძინების“ წევრთა კრება.** კვირას, 5 ივლისს, შესდგა მომხმარებელ საზოგადოების „ალორძინების“ წევრთა კრება. თავმჯდომარეობდა ბ-ნი ცაბაძე. პირველად მოხსენება წაიკითხა მოსკოვის კავშირის ინსტრუქტორმა ბ-ნმა ბელოუსოვმა. შემდეგ კრებამ დაამტკიცა დროებითი გამგეობის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია გამგეობისა და სარევიზიო კომისიისათვის. კრებამ დაადგინა, ჩაეწეროს მოსკოვის კავშირში წევრად და ჯერ-ჯერობით შეიძინოს ერთი პაი (50 მან.), ხოლო შემდეგისათვის მიეცეს გამგეობას უფლება კიდევ შეიძინოს არა უმეტეს 5 პაისა. დასასრულ მოხდა არჩევნები. გამგეობის წევრებად აირჩიეს:

დ. კახელაძე, ი. ბოლქვაძე, ა. მაისურაძე, ი. კუხტინი, არ. აივაზოვი, ი. ფანიევი და ნ. ქადაგიშვილი; მათ კანდიდატებად—ი. გიორგობიანი, გ. ჩიქოვანი და ბ-ნი სალაღაშვილი. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ს. ბესელიძე, გ. ლომიჯარია და ვ. ხახანაშვილი; მათ კანდიდატებად—ა. მიქაძე და კ. გიგიბერიძე.

◆ **არტისტ ალექსიძის გარდაცვალების გამო.** ახლად გარდაცვლილ ა. ალექსიძის (ქურდოვანიძე) სულის მოსახსენებლად კვირას, 5 ივლისს, პანაშვიდი იქმნა გარდახდილი, რომელსაც დაესწრნენ განსვენებულის ამხანაგები, პრესის წარმომადგენელნი და პატივისმცემელნი.

◆ **კრება.** ხვალ, საღამოს 8 საათზე, კრება ექნება ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების განსაკუთრებულ კომისიას, რომელმაც საზოგადოების კუთვნილი მამული დაათვალიერა საგურამოში. კომისიამ მოხსენება უნდა შეიმუშაოს ხსენებული მამულის მდგომარეობისა და მოვლა-პატრონობის შესახებ, რომელი მოხსენებაც საზოგადოების საგანგებო კრებას უნდა წარუდგინონ.

◆ **სურსათი.** 4 და 5 ივლისს მოიტანეს თბილისში: ფქვილი 6 ვაგ., შაქარი 12 ვაგ. და ფხვნილი შაქარი 3 ვაგონი.

აკაკი წერეთლის ანდერძის გამო

აკაკი წერეთლის უკანასკნელ ნების აღმასრულებლებმა გრიგ. დიასამიძემ, იაკ. ფანცხავამ, კოტ. აბდუშელიშვილმა და ივ. ელიაშვილმა 4 ივლისს დაადგინეს შემდეგი: 1) ვინაიდან აკაკის ანდერძი უკვე დამტკიცებულია ქუთაისის ოლქის სასამართლოს მიერ და ანდერძის პირი ჩაბარებული აქვთ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ და ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებათ, ეთხოვოთ აკაკის პირდაპირ მემკვიდრეთ—კნ. ნატალია პეტ. წერეთლისას და თავ. ალ. ა. წერეთელს—დაუთმონ თვისი უფლება სიცოცხლეში სარგებლობისა აკაკისაგან ნაანდერძევ უძრავ ქონებათა ზემოხსენებულ საზოგადოებათ, რათა წ. კ. საზოგადოება ამ თავითვე შეუდგეს სკოლის დაარსების ზრუნვას. 2) წ. კ. საზოგადოებისათვის ნაანდერძევ სახლსა და ეზოსთან ერთს მთლიანს შეადგენს ზედმობმული ვენახი და სახნავი მიწა. ეს უკანასკნელი ნაკვეთი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მომავალ სკოლისათვის. ამიტომ ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უსასყიდლოდ დაუთმოს ეს ნაკვეთი წ. კ. საზოგადოებას. 3) აკაკის უკვე გამოქვეყნებულ კერძო ანდერძში აღნუსხულია მისი მოვალეების სია, ვალის რაოდენობა და მასთან სურვილი აკაკისა ეს ვალი გადახდილ იქნას მემკვიდრეთაგან. ამ ხანად აკაკის მამულის შემოსავალი ფრიად მცირეა; ამ შემოსავლით ვალების გასტუმრება არ შეიძლება. ამიტომ ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას იკისროს დაუყოვნებლივ გასტუმრება ვალებისა, რაიცა უდრის 2.180 მანეთს. 4) აკაკის გადაცვალების შემდეგ თბილისის სახაზინო ბანკში აღმოჩნდა ასი თუმნის ვექსილი კოტ. აბდუშელიშვილისა, რომლის ბადალი, აკაკის ხელმოწერილი, კოტე აბდუშელიშვილს აქვს. ამ ვალის გასტუმრებაც ეთხოვოს იმავე საზოგადოებას. 5) დროებითი მემკვიდრენი, აკაკის ცოლ-შვილი, უარს თუ განაცხადებენ თავიანთ უფლებაზე, ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, გაუძღვეს აკაკის მამულების მოვლას და იკისროს ყოველივე ხარჯი მოვლისათვის აკაკის გარდაცვალების დღიდან ვიდრე მამულის განაწილებისა საისტორიო-საეთნოგრაფიო და წ. კ. საზოგადოებათა შორის. 6) მიენდოს ივ. ელიაშვილს აცნობოს დროებით მემკვიდრეებს ეს დადგენილებანი, მით უმეტეს, რომ დადგენილებანი დამყარებულია კნ. ნატალია და თავ. ალექსი წერეთლების მიერ გამოთქმულ სურვილზე თვისი უფლების უარყოფის შესახებ. 7) ყველა აქ მოხსენებული დადგენილებანი გამომდინარეობენ აუცილებლობისაგან და მათი სისრულეში მოყვანა ევალება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, როგორც აკაკის მთელ ნაანდერძევ ღირებულებათა ნამდვილ მემკვიდრეს. ხოლო თუ ეს დადგენილებანი შეუსრულებელი დარჩა, იმ შემთხვევაში ნების აღმასრულებელნი ყოველივე პასუხისმგებლობაზე ხელს იღებენ, თუ მამულს რაიმე სახიფათო საქმე მიადგა.

გზა და გზა.

(გაგრძელება).

ბაკურციხეში.

უკვე მოსაღამოვებული იყო, როცა ბაკურციხეში ამოველით. ეს მშვენიერი სოფელია. ოთხასი კომლი მცხოვრები ფართოდ შეჰფენია ცივ გომბორის გრეხილის კალთებს. თვითეულის სახლ-კარი ბაღსა და ვენახებშია ჩაფლული. საუცხოვო მდებარეობა მას ჰხდის ერთერთ საავარაკო ადგილად. წყაროთა სიუხვე, მრავალფეროვნება და, რაც უფრო საგულისხმიეროა, სადარაჯო ბუნებრივი პუნქტობა, საიდანაც ალაზნის ველს ხელის გულსავით გადაჰყურებთ, მას ერთი ასად ფასსა ჰმატებს. აი, ეს დაცემული, გაჭიმული ველი, ირგვლივ ხილნარი, ვენახები, ყანები, ხშირი ჭალაკანი, ველის იქით კი ლეჩაქის პირბადეში გახვეული კავკასიონის თოვლიანი ჯაჭვი. მაგრამ მრისხანე, მუდამ ჭმუნვის მარაოდი შუბლშეჭმუხვნილი იგი ეხლაც ღრუბლებით შემორტყმულა, თითქოს ჰსურს ნელ-ნელ ფრთებით ცამდის აიზიდოს, ცაშივე ჰპოვოს თვისი განსასვენებელი ადგილიო. მზის სხივებს სამეფო ძოწეულით მოერთოთ მისი გაშლილი საღმრთო მხარ-ბეჭი. მხოლოდ ეხლა წარვსდექი კახეთის მშვენიერების წინ, მხოლოდ ეხლა ავხსენი საიდუმლო, მისი დიდება დიდებისა და მეუფება მეუფების. უხვი, ლაღი, მჩქეფარი და ფიქრმორეული, ეს ხომ მხოლოდ სანახაობა არ არის, აქ ხომ შთაბეჭდილებაზე შეუძლებელია ლაპარაკი... ან ვით ართმევთ თავს ესოდენ შთაბეჭდილებათა ხროვას: სიკეკლუცე, სინაზე, ბუმბერაზობა... წალკოტობა... სიმკვირცხლე... უსაზღვრო ამაყობა... ფირუზის გამჭვირვალობა, ცის სიცივე, საკმეველის სურნელოვნება და სიმღერა დიადი ბუნებისა,—ეს ხომ მისტერია, ეს ხომ თვით ღმერთების საქორწინო ლიტანიაა! განშორდით ცრუ კულტურას, ივლტეთ ცრუ ცივილიზაციის აკვნიდან, განეშორეთ ცოცხალთა სასაფლაო—ქალაქს, შეიქენით რუსოს მოწაფე, დაუბრუნდით ბუნებას, გასწით მის წიაღში და თქვენ იხილავთ უჩინარს, თქვენ მიჰხვდებით საიდუმლოს, რის მეოხებით ადამიანი ჰხდება ადამიანად, ჰპოულობს ბარბაროსულ კულტურისაგან შელახულ უფლებებს, დათრგუნვილ სილაღეს, დასაფლავებულ სიამაყეს, იხილავს მშვენიერებას, იხილავს ღმერთს უკვდავებისას, ტვირთის შემსუბუქებას, მჭვუნვარებათა განქარვებას და... განთავისუფლებას!

— სალამი, სალამი ძვირფასო მშვენიერების აკვანო,—ვჩურჩულებდით ნეტარებით; ნეტარ იყოს, ვინც შენს სიცოცხლის შადრევანი იპკუროს შუბლზე!

ისე ვგრძნობდი, თითქოს მეპოვნოს დაკარგული ბედნიერება, თითქოს წუთით აღმედგინოს ნებსით თუ უნებურად მოწყვეტილი სულის აკვანი. ვსცდილობდი, ჰაერი ხარბად შემესუნთქა, ვსცდილობდი გონი მომეკრიბა და ვზიარებოდი საიდუმლოს, და, მართლაც, მე მას ვხვდებოდი, დიახ, ვხვდებოდი, ეხლა ვიცოდი, თუ რატომ იყო, რომ ქალაქში მომეჯლიშენი მაინც უაღრესად უბედურნი არიან, მივხვდი იმასაც, თუ რატომ იყვნენ ჩვენი წინაპარნი ასე ძლიერნი, რად იყო გამობრძმედილი მათი სული, რომ დღესაც მათი არჩდილნი საფლავიდან მკვდრეთით სდგებიან და გმირთასაგმირო სიმღერას ზევსური ხმით მოიმღერიან მღელვარე ალაზნის მოყიჟინე ზვირთებთან ერთად, რომ ვიყვნეთ ღირსნი ჩვენ მამულის, ჩვენი ქვეყნისა, ვისწავლოთ მისი სიყვარული, მისთვის სიკვდილი...

„აჭარელთათვის“!

პირველი ღამე მეტად მხიარულად გავატარეთ. ბუნების მისტერიას დაერთო დიასახლისის მოლხენა, კრიალა ხმა. ჩაის შემოვუსხედით და ხელად ისეთი სიმღერები გაიმართა, თითქოს გაწრთვნილ მომღერლებს მოუყრიათ თავიო. ამასობაში დიასახლისმა გაიხსენა, სოფლად სინემატოგრაფი მოვიდა, სოფლის სასწავლებელში აჩვენებს სურათებს, შემოსავლის ნაწილი **აჭარელთა** სასარგებლოდ იქნება გადადებულიო. ჯერ გამეხარდა, მადლობა ღმერთს, სოფელიც არ უცხოობს თავის შორეულ ძმას თანაგრძნობით შეხვდეს და შეძლებისდაგვარად სურს დახმარება აღმოუჩინოს მეთქი.

— მართალია, თქვენთვის სინემატოგრაფი არასფერს შეადგენს და მოწყენილიც გექნებათ, მაგრამ სოფელში კიდევ სულ სხვაა, თუნდა იმ მხრით, რომ უყუროთ, თუ რა შთაბეჭდილებას სტოვებს იგი სოფლელებზეო,—სთქვა დიასახლისმა. აბა რა თავი გამექნეოდა, უნდა წავსულიყავთ. კარში გასვლისას ჯერ სოფელს შემოვუარეთ და შემდეგ სასწავლებლისკენ გავსწიეთ, რომ „აჭარელთ“ ჩვენც შევწეოდით. მაგრამ არ ვიცი რატომ, გულმა ვეღარ მომითმინა და დიასახლისს შევეკითხე:

— მართლა დარწმუნებული კი ხართ, რომ აჭარელთა სასარგებლოდ არის?

— არ ვიცი, მაგრამ ასე სთქვა თვით გამგემ.

— ჰკითხეთ რამე, აქვს მოწმობა?

— არა, არ მიკითხია.

— იქნებ რაიმე ცუღლუტობა იყოს!

— არც ეგ შემიძლია ვიცოდე, ვიცი მხოლოდ, რომ სასწავლებელი მთხოვეს, (დიასახლისი აქაური მასწავლებელია), მეც დავუთმე.

გადავწყვიტე თვით მევე გამეგო პირადად. მისვლისას ხელოვნური გამოკითხვის შემდგომ აღმოჩნდა, რომ „აჭარელთა“ დახმარებას არავითარი ადგილი არ ჰქონია, რომ მათ მხოლოდ ნებართვა აქვთ აღებული სოფელ-სოფელ ჰმართონ სეანსები თავიანთ სასარგებლოდ.

უსიამოვნოდ გამოვბრუნდი. ჩემს დიასახლისსაც შევნიშნე, ვიდრე სასწავლებელს ვისმეს დაუთმობდეთ „აჭარელთა სასარგებლოდ“, ჯერ კარგად შეამოწმეთ მეთქი. გული შინაც კი არ მომბრუნებია. ფიქრმა წამიღო. სულ „აჭარელთა სასარგებლოდ“ მოსულ მყვლეფელთ დასტრიალებდა ჩემი გონება. ვინ იცის, სოფლად, ქალაქად რამდენი უსირცხვილო გაფანტულა, ხელს ითბობს დანთებულ ცეცხლით, ვინ იცის, ვინ როგორ არ ჰსარგებლობს ამ უპატრონობის დროს და ხალხს უკანასკნელ გროშებსა სცინცლავენ, რაღაც უაღრეს იდეალების სახელით! მახსოვს, რევოლიუციამ რამდენი გარეწარი წარმოშვა ისეთ იდეის ქადაგებით, როგორიც არის სოციალიზმი, მახსოვს მრავალი თავხედთა თავ-გასულობა და აულაგმელობა. იმ დროს, როგორც დღეს, თავს მეტად სუსტადა ვგრძნობდი რაიმე წამალი მომენახა. სტიქიისაგან შობილ ნაკადს ადვილად ვერ შეაჩერებთ. ასეა დღესაც. ომმა სოფლად თუ ქალაქად მრავალი გაუგებრობა დაჰბადა, მრავალი შეუგნებლობა, რომლის ტალღებზე ამოიტივტივა უმადურთა გაიძვერობამ.

გული ვერაფრით მოვიბრუნე. თვით მასპინძლის მხიარულება ვერ იქმნა და ვერ გავიზიარე. მართალია, ვიღიმებოდი, ვიცინოდი, მაგრამ გამოცდილი თვალი ადვილად შემატყობდა, რომ ღიმილი ჩემი ხელოვნური იყო: გულწრფელობა თვითვე დავმარხე...

კახური სოფლები.

არავითარი დურბინდი და აწონ-დაწონვა არ არის საჭირო, არც თუ პარალელების გატარება: გაიარეთ კახურ სოფლებში და მაშინათვე იტყვით, რომ ქართლისას ბევრად აღემატებიან. სოფელი აქ ლაღია, წელში გასწორებული. გარეგნულად ლამაზი, ქუჩები ზოგგან ქვიშით გაუსწორებიათ. შენობებს ხომ ნუღარ იტყვით: ის, რაც ქართლში დღესაც ჩვეულებრივი მოვლენაა—მიწური სახლები, აღარსად არ მოიპოვება. ან რა სათქმელია! რომელ სახლს იპოვნით, რომ გაჩაღებული არ იყოს, ანუ კრამიტით გადახურვილი! ბევრია ისეთი გლეხკაცი, რომელიც კრამიტსაც არ დასჯერებია და მწვანე-წითელი ფერით შეღებილი „ჟესტის“ სახურავებით მოურთია. ლამაზი აივანი, ფართო სარკმელი, სუფთა იატაკით, თეთრად გალესილი კედლები აგვირგვინებენ ორ-სართულიან სახლს, რასაც ქართლელი თავადიშვილი დიდ ღვთის წყალობად ჩასთვლიდა. სოფელს ყოველგან ატყვია ბზრიალი სახე. საოცარია, ცენტრს დაშორებული, რატომაა აქაური სოფელი ასეთი სენით გაჟღენთილი! დუქნები „მელოჩნი ლავკი“ და „რასპივოჩნი დუხნის“ ზედ წარწერით უნებურად გულს გიკლავთ, რომ აქაც კი, ამ შორეულ კუთხეში ბაზრულ სიმახინჯეს შემოუხრჩოლებია მყრალი ჭრაქი, ფაქიზ ლამაზი ენის ნაცვლად ჰხედავთ სიჭრელეს, ვულგარიზაციას, რომ არა თუ აქაური ინტელიგენტი, სოფლელიც კი მოვალედ თავს ჰრაცხს უსათუოდ ჩიქორთული რუსული ენით გაგაბედნიერონ. ბაზრული სახე აძევთ მცხოვრებთაც, განსაკუთრებით ქალებს. ჩიხტი იშვიათი სანახავია. კოპწიაობა, მოდის მიხედვით შანტეკლერების ჩაცმა, შლიაპის აუცილებლობა და თმის დახვევა—აი ის დიდი განათლება, რასაც ჰზიარებიან აქაური ქალები. კახეთი უფრო, ვიდრე ქართლი, ადრე გამომზეურებულა და ქალაქელობის სახელის დამტკიცებას ჰლამობს. ოღონდ სავალალო ის არის, რომ ამ ყალბ განათლების თამასუქების შეძენაში ჰხედავს იგი ერთგვარ წინსვლას და თავის დოვლათის დანიავებასაც სწორედ მას ანდომებს...

საოცარია, რომ ასეთ შემძლებელ და წინ წასულ სოფელს აქნობამდინ იმდენი ვერ მოუხერხებია, რომ წყაროს წყალი გამოიყვანონ. სოფელი უწყლოდ იხრჩობა და მოთავე არვინ სჩანს, რომ სოფელს გაუძღვეს. კარდანახელთ გამოსაყვან წყლისთვის ფულის გაღება არც დაჰზარდებათ და არც თუ გაუჭირდებათ...

(შემდეგი იქნება)

დ. კასრაძე.

ჩვენი ცხოვრება

ზემო ქართლი. სატივეში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა. ხაშურის საკრედიტო ამხანაგობამ გამოიწერა 2 სამკალი მანქანა. ვაჟამა და თამარაშენმა გამოიწერეს ცხენით სამუშაო თითო ფოცხი. ამ უკანასკნელ სოფლებში აამუშავეს წინად გამოწერილი სამკალი მანქანები.—ქერები გაიჭრა; მოსავალი შუათანაზე ნაკლებია.—კარგი ამინდები დადგა; სოფლებში მუშაობა გაჩაღდა.

შემოწირულება

ბატონო რედაქტორო! ხელოსნებს წესად აქვთ, ყოველ წელს შეაგროვებენ თავიანთ წვლილს და სამღვთოს დაკლავენ ხოლმე. წელსაც მოვინდომეთ. მე, როგორც მამასახლისს, დამავალეს ფულის შეგროვება. სულ შეგროვდა შვიდი თუმანი და თოთხმეტი შაური. მაგრამ გავითვალისწინეთ დღევანდელი მომენტი და გადავწყვიტეთ სამღვთოსთვის შეგროვილი ფული სამ-ნაწილად გაგვეყო; ერთი ნაწილი აჭარლებს, მეორე—შემოხიზნულ სომხებს და მესამე—დაავადმყოფებულ ხელმოკლე ხელოსნებს. ამასთან ერთად აჭარლებისთვის გაახლებთ ხვედრ ოცდა-სამ მანეთს და ათ შაურს.

თბილისის ევროპიულ მეჩექმეთა მამასახლისი **ივ. სვ. ბერძნიშვილი.***)

სია შემომწირველთა: ხარაშვილი 5 მ., იარგულოვი 2 მ., არუთინოვი 2 მ., კობოზოვი და ავეტისოვი 2 მ., ბაღდასაროვი 1 მ. 50 კ., პაპაიანცი 1 მ. 50 კ.

თითო მანეთი: დარჩიევი და ტერ-საკოვი, გულიევი, ჩიბუხჩიანცი, ოვაკიმიანცი, შარბაბჩევი, ძმ. პირკულოვები, ბალიიზოვი, მაისურაძე, გერმანოზაშვილი, პაპიკიანცი, ბალიევი, საფაროვი, დივანიანცი, აზმაიფარაშვილი, ტერ-ზახაროვი, აღდგომელაშვილი 70 კ., მიზარბეგიანცი 60 კ.

ათ-ათი შაური: ბებუთოვი ზურაბოვი ტერ-გრიქუროვი, დავითი, ცატუროვი, სარქისოვი, ბაიროვი, ავალიშვილი, გიორგი, ღვინიაშვილი, ბერიძე, ტერ-ოგანეზოვი, რაჭველიშვილი, მირზაიანცი, მალინოვი, აბოვიანცი, ვარტპატრიკიანცი, საფარიანცი, გოხელაშვილი, ნემოვი, შავშიშვილი, აკოპოვი, მიკირტიჩიანცი, გრიგორიევი, შინატეხელი, სტეფანიანცი, გახნიაშვილი, სიმონიანცი, ტიუტინოვი, ჯანყარაშვილი, ლაზრევი, ამირზადიანცი, ფეიქრიშვილი, ეგოროვი, კალანდაძე, ყარყარაშვილი, არუთინიანცი, გრიგორევი, არუთინოვი, ჯულაკოვი, მინდიაშვილი ვას., მინდიაშვილი ნიკ., ნუცუბიძე, გორგორიანცი, შაუმოვი.

ორ-ორი აბაზი: მაილოვი, დანდუროვი, ასლამაზოვი, ცერაძე, უსეინაშვილი, ზოიძე, აბრამოვი, ბათუნოვი, სელიპანოვი, მამაცოვი, ჩიხრაძე, სულთანოვი, პაპაველოვი, კოჭლამაზაშვილი, ანუშავანი.

ექვს-ექვსი შაური: ჯოლაფოვი, შარიმანოვი, ეგიევი, №№№, კიკნაძე, მამასახლისოვი, ხომეზური, [illegible], კუკულავა, ანტონა, №№, სარქისიანცი, შავერდოვი, სარქისიანცი, [illegible], გრიქუროვი, პეტროსიანცი, [illegible], სუხიტაშვილი, თედიაშვილი, პაპიაშვილი, ანდრია, გრიგორიანი, შაუმოვი.

თითო აბაზი: პაპუნაშვილი, გენებაშვილი, ოვაკიმი, ოვანოვი, კაციტაძე, დავითაშვილი, ბუჯიაშვილი, წაცინოვი, ყველაშვილი, გურგენოვი, საგინოვი, ზარჩიკოვი, ზებულოვი, №№-ი, შაუმოვი, გადაკიანცი, №№-ი, ხანჯიანცი—35 კაპ., მდივანოვი 25 კაპ., სირაგანიანცი 15 კ., კტოიანი 10 კ., გრიქუროვი 15 კაპ.

სულ 70 მან. და 70 კაპ.

---

*) რედაქციამ მიიღო აჭარელთა ხვედრი წილი 23 მან. და 50 კაპ.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს.	13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	8 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	8 „	58 „	„
ვაზიანიდან	10 „	06 „	„
ივრიდან	21 „	15 „	„
საგარეჯოდან	11 „	58 „	„
ბადიაურიდან	12 „	56 „	„
მელაანიდან	2 ს.	16 წ.	საღ.
გურჯაანიდან	3 „	37 „	„
კარდენახიდან	4 „	12 „	„
წნორის-წყალზე	4 „	44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს.	42 წ.	საღ.
ვაჩნაძიანიდან	4 „	33 „	„
თელავში	5 „	27 „	„

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
კარდანახიდან	9 „	41 „	„
გურჯაანიდან	10 ,	24 „	„
მელაანიდან	11 „	39 „	„
ბადიაურიდან	12 „	59 „	დღ.
საგარეჯოდან	2 „	80 „	„
ივრიდან	2 „	50 „	„
ვაზიანიდან	3 „	55 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	4 „	58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	5 „	13 „	„
თბილისში	5 „	28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს.	54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	9 „	25 „	„
გურჯაანში	10 „	07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3	ბაქოდან	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4	ბათომიდან	5 ს.	55 წ.	საღ.
№ 5	ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	საღ.
№ 10	ბათომიდან.	9 ს.	51 წ.	დილ.
	ჯულფიდან.	6 ს.	53 წ.	დილ.
	ბორჯომიდან	7 ს.	25 წ.	დილ

თბილისიდან გადის:

№ 3	ბათომისკენ	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4	ბაქოსკენ	7 ს.	3 წ.	საღ.
№ 6	ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9	ბათომისკენ	8 ს.	53 წ.	საღ.
	ჯულფისკენ	10 ს.	23 წ.	საღ.
	ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ.	დღ.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა.

25—28

თევზის მრეწველნი

ძმ. ბეჟველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ძმწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.